საქართველოს მელიორაციას თურქეთის რესპუბლიკის დელეგაცია ესტუმრა

25 ოქტომბერი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაციას“ თურქეთის რესპუბლიკის სოფლისა და სატყეო მეურნეობის სამინისტროსა და საირიგაციო კომპანიის - სახელმწიფო ჰიდრავლიკური სამუშაოების გენერალური დირექტორატის (DSI) წარმომადგენლები ესტუმრნენ.

კვირის განმავლობაში საქართველოს მელიორაციაში გამართულ შეხვედრებზე მხარეებმა კომპანიის სერვისების, სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტებისა და მიღწეული შედეგების თაობაზე იმსჯელეს.

თურქმა სპეციალისტებმა ქართველ კოლეგებს წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების ჩამოყალიბებასა და სატარიფო პოლიტიკასთან დაკავშირებით საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს. საუბარი შეეხო წყალგანაწილების ლიმიტების დადგენის მეთოდოლოგიას და ჰიდრომეტრიას, საირიგაციო ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის საკითხებს.

დელეგაციის წევრებმა ქვემო სამგორის სარწყავი სისტემა, პალდოს სათავე ნაგებობა, სიონისა და თბილისის წყალსაცავების ჰიდროტექნიკური ნაგებობები დაათვალიერეს, გაეცნენ სერვისცენტრების მუშაობის სპეციფიკას.

მხარეებმა საქართველოს და თურქეთს შორის არსებული ეფექტიანი და ნაყოფიერი თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ისაუბრეს და სამომავლო ურთიერთობის პერსპექტივები განიხილეს.

დიმი-როკითის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

15 ნოემბერი

„საქართველოს მელიორაცია“, ბაღდათის მუნიციპალიტეტში, დიმი-როკითის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციას ახორციელებს.

პროექტი ითვალისწინებს წყალგამანაწილებელი არხის 0,4 კილომეტრიანი მონაკვეთის მოპირკეთებასა და ფილტრაციის საწინააღმდეგო დამცავი კედლის, გადასასვლელი და საცალფეხო ხიდების მშენებლობას.

ჩატარებული სამუშაოები არხში წყლის შეუფერხებლად გადინებას შეუწყობს ხელს. შედეგად, მუნიციპალიტეტში, 500 ჰექტარამდე სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდება გაუმჯობესდება. ასევე, აღარ იარსებებს არხის მიმდებარე საკარმიდამო ნაკვეთების დატბორვის საშიშროება.

აღნიშნული საირიგაციო სისტემით სოფელ როკითისა და დიდველას 350 ბენეფიციარი სარგებლობს.

პროექტი, რომლის ღირებულებაც 516 000 ლარია, მიმდინარე წლის აგვისტოში დაიწყო და წლის ბოლოს დასრულდება.

შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორი თენგიზ ნასარიძე სოფელ როკითში ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა და მიმდინარე სამუშაოებს ადგილზე გაეცნო.

ქვემო ქართლში, 800 ჰექტარი მიწის ფართობი რეგულარულად მოირწყვება

26 ნოემბერი

საქართველოს მელიორაცია წყალუზრუნველყოფილი ფართობების გაზრდის მიზნით, ტბისი-კუმისის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციას ატარებს. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, ალგეთის წყალგამტარის 1,4 კმ სიგრძის ავარიული მონაკვეთი სრულად განახლდება.

შედეგად, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 6 სოფლის (ხაიში, ქოსალარი, დიდი დურნუკი, პატარა დურნუკი, შავსაყდრისა და წინწყაროს ნაწილი) 800 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი რეგულარულად მოირწყვება.

პროექტის ღირებულება 3 მლნ ლარზე მეტია. მიმდინარე სამუშაოები „საქართველოს მელიორაციის" გენერალურმა დირექტორმა, თენგიზ ნასარიძემ ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელ პირებთან ერთად დაათვალიერა და ადგილობრივ ფერმერებს შეხვდა.

კახეთში 1300 ჰექტარ მიწის ფართობზე წყალუზრუნველყოფა გაუმჯობესდება

8 დეკემბერი

საქართველოს მელიორაცია კახეთში ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციას ახორციელებს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მარცხენა მაგისტრალური არხის პირველი და მეორე რიგის წყალგამანაწილებლების რეაბილიტაცია მიმდინარეობს, რაც, ჯამში, 20,7 კმ სიგრძის დახურული მილსადენის მოწყობასა და 11,8 კმ სიგრძის რკინაბეტონის არხის მშენებლობას ითვალისწინებს.

ყველა წყალგამანაწილებელზე დამონტაჟდება ჰიდრანტები და დამცლელი ჭები, მილ-ხიდები და წყალმიმღები.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად, სოფელ მანავისა და თოხლიაურის 1300 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე წყალუზრუნველყოფა გაუმჯობესდება.

9,2 მლნ ლარის ღირებულების პროექტის დასრულება 2024 წელს იგეგმება.

შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალურმა დირექტორმა, თენგიზ ნასარიძემ, სოფელ მანავში მიმდინარე სამუშაოები რეგიონალური სამსახურის ხელმძღვანელ პირებთან ერთად დაათვალიერა.